# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №45

## გამარტივებული შესყიდვა

**31200000** - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა

**31300000** - იზოლირებული მავთული და კაბელი

ქ. თერჯოლა 4 ივლისი 2014 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს, წარმოდგენილი დირექტორის მაია თორთლაძის სახით (შემდეგში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ი.მ. „მირიანი მაკარიძე"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს ფილიალის საბავშვო ბაგა-ბაღების მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად საჭირო იზოლირებული მავთულკაბელისა და ელ.გამანაწილებლის შეძენის მიზნით გამოიყენა ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდი, რისთვისაც შერჩეულ იქნა ი.მ. „მირიანი მაკარიძე".

### 2. ხელშეკრულების ფასი

ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 200 (ორასი) ლარი.

### 3. მხარეთა უფლება-მოვალეობა:

3.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის საჭირო მასალები მოთხოვნის შესაბამისად.

3.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

3.3. „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას „მიმწოდებელს" აუნაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

### 4. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

4.1. მხარეებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ ხელშეკრულება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნულის შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის ვადაში.

4.2. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ - ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

### 5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

### 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად. თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
6.2. ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 4 ივლისიდან 2014 წლის 4 ოქტომბრამდე.

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
| --- | --- |
| თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი | ი.მ. „მირიანი მაკარიძე“ |
| მისამართი: თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109 | მისამართი: თერჯოლა, რუსთაველის 105 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 231948863 | საიდენტიფიკაციო კოდი: 21001012897 |
| ანგ. №: GE72LBO115137014465000 | ანგ. №: GE35BG0000000706903200 |
| ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი“ | ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“ |
| ბანკის კოდი: LBRTGE22 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| დირექტორი მაია თორთლაძე | |
| ------------------------------------------------ | ------------------------------------------------ |

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თერჯოლა　　　　　　　　　　　　　　　　　　　　　　　　7 ივლისი 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ ა(ა)ი.პ. „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს დირექტორი წარმოდგენილი მაია თორთლაძის სახით და მეორეს მხრივ ი.მ. „მირიანი მაკარიძე" ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2014 წლის 28 აპრილს ურთიერთშორის გაფორმებული №45 ხელშეკრულების შესაბამისად პირველმა მხარემ ჩაიბარა, ხოლო მეორე მხარემ ჩააბარა 170-80 (ასსამოცდაათი ლარი და 80 თეთრი) ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა:

ხელშეკრულების შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება 170-80 (ასსამოცდაათი ლარი და 80 თეთრი) ლარი.

| პირველი მხარე: | მეორე მხარე: |
| --- | --- |
| თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი მაია თორთლაძე | ი.მ. „მირიანი მაკარიძე" |
| ------------------------------------ | ------------------------------------ |